ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4369068

ნომერი: AR1657346

თარიღი : 24.01.2019

გაცემის თარიღი : 08.02.2019

გაცნობის თარიღი : 11.02.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გურამ ფანჯიკიძის ქუჩა, N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ღლონტი პ/ნ 01012014468
- ს.ჩიქოვანის 24 ა

ორგანიზაცია:
- სს"ლიბერთი ბანკი'' კოდი: 203828304

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  კორექტირება
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  კორექტირება
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- ბანკომატის განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
სამსახურის მიერ 24/01/2019 № 4349117 გადაწყვეტილებით დაგევალათ სამსახურის მიერ 04.07.2018წ. №4050071 გადაწყვეტილებით შეთანხმებული დოკუმენტაციის ძალადაკარგულად გამოცხადება, შესაბამისად იმისთვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა პირველ რიგში მოხდეს აღნიშნული გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება. (ამისათვის სამსახურის ვებ გვერზე უნდა ისარგებლოთ შესაბამისი ნომენკლატურით).
ვინაიდან სარეკონსტრუქციო სამუშაოები ასევე ითვალისწინებს საკადასტრო საზღრებს გარეთ არსებული კიბისა და პანდუსის რეკონსტრუქციას, საჭიროა წარმოდგენილ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა თანდართულ დანართთან ერთად.
ასევე ფოტომონტაჟზე დაიტანეთ საპროექტო ვიტრაჟების მოსაჩარჩოებელი მასალა
გაითვალისწინეთ რომ სარეკონსტრუქციო შშმპ პანდუსი უნდა აკმაყოფილებდეს 2014 წლის 6 იანვრის, საქართველოს მთავრობის № 41 დადგენილებაში მითითებულ ნორმებს, როგორც პანდუსის ასევე მოაჯირის ნაწილში. (სარეკონსტრუქციო შშმპ პანდუსის ნახაზი წარმოდგენილ იქნას ცალკე, გაბარიტული ზომისა და ნიშნულის მითითებით.
გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.